

10 წელი თამბაქოს კონტროლის კონვენციიდან

27 თებერვარს შესრულდა 10 წელი, რაც ძარაში შევიდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ჩარჩო კონვენცია თამბაქოს კონტროლის შესახებ. კონვენციაზე მოლაპარაკება დაიწყო 1999 წლის 28 ოქტომბერს, ხოლო ჯანმო-ს გენერალურ ასამბლეაზე დამტკიცდა 2003 წლის მაისში. პირველი 40 წევრი ქვეყნის მიერ რატიფიცირებიდან 90-ე დღეს ანუ 2005 წლის 27 თებერვარს ძარაში შევიდა კონვენცია და სავარდებულო გახდა მისი წევრი ქვეყნებისათვის. საქართველო კონვენციას მიუერთდა 2005 წლის დეკემბერში და ძარაში შევიდა ქვეყნისათვის 2006 წლის 15 მაისს. ამჟამად კონვენციის წევრია 180 ქვეყანა. კონვენციაზე მოლაპარაკებების დაწყებიდან დღემდე თამბაქოს მსხვერპრი გახდა დაახლოებით 77 მილიონი ადამიანი, ანუ საშუალოდ 5.1 მილიონი წელიწადში. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა ამ საუკუნეში მოსალოდნელია 1 მილიარდი ადამიანის დაღუპვა თამბაქოსაგან გამომწვევი დაავადებებისაგან. საქართველოში ამ ნარკოტიკის მსხვერპრი ყოველწლიურად ხდება 11 000 ადამიანი, მათ შორის 3000 პასიური მოწევისაგან. სამწუხაროდ, იმის გამო რომ ქვეყანა თითქმის 10 წელია არ ასრულებს ნაკირ ვარდებულებებსა და კონსტიტუციით გარანტირებულ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას სიკვდილობის და ავადობის ტვირთი წელიდან წელიწად იზრდება. რატიფიკაციიდან მხოლოდ სამი წლის შემდგომ ნაწილობრივ დახვეწა კანონი საქართველომ, მაგრამ სამწუხაროდ მისი აღსრულება ფაქტიურად არ ხდება პოლიტიკური ნების არ არსებობის გამო. პოლიტიკური ნება კი არ არასებობს, იმის გამო რომ თამბაქოს ინდუსტრია თავისი ფინანსური საშუალებებით და აპოკალიპტური სურათების დახატვით სარგებლობს გადაწყვეტილებების მიმღებთა არაკომპეტენტურობით და აქცევს თავისი ზეგავრნის ქვეშ. 2013 წელს გარკვეული აქტიურობა იყო ამ თავღსაზრისით და დასაწყის ეტაპზე ჩვენი ადრიანსის მონაწილეობით შეიქმნა თამბაქოს კონტროლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც წელიწადნახევარია უკვე ცარილ ფურცლად იქცა და არანაირი რეალური ნაბიჯი ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დასაცავად არ გადადგმულა. უფრო მეტიც, ინდუსტრიამ

იგრძნო რა ხერხსუფადთა სისუსტეები აღარ ერიდება მოქმედი კანონების დარღვევას და პოლიტიკური დოაღობის მოსაპოვებლად უკანონოდ ასპონსორებენ სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს, თეატრებს, ეროვნულ მუზეუმს, ხელს უწყობენ ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომლებისა და ჟურნალისტების სტაჟირებებს, რაც მათი მომავალი კეთილდღეობის გრძელვადიან საფუძვლებს ქმნის ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარჯზე. სამწუხაროდ თავად ჯანდაცვის სისტემაშიც საკმაოდაა წინა ხერხსუფებიდან ამ ბიზნესის პირდაპირი დობისტები, რომლებიც კვდავ აბრკოლებენ და აჭიანურებენ კანონმდებლობის დახვეწისა და ადმინისტრირების გაუმჯობესების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა პროცედურა გავრიდი ჰქონდა არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების პაკეტს, კიდევ თავიდან დაიწყეს პროცედურები, რის გამოც შესაძლებელია საგაზაფხულო სესიამდე ვერ მოეწიროს პაკეტის პარლამენტში შეტანა, შემოდგომით კი შესაძლებელია ან ვადამდელი არჩევნები დაიწყოს ან საარჩევნო კამპანია და შესაბამისად საკითხიც მინიმუმ წერიწადნახევარი გადავადდება. 2013 წელს კონვენციის სამდივნოს დერეგაცია და შემდგომ თავად სამდივნოს უფროსიც ეწვია, მაგრამ არანარი რეაგირება მათ კრიტიკულ შეფასებებს არ მოჰყოლია. მათი შეფასებით კონვენციით ნაკისრი ვადლებუდებების აბსორუტური უმრავლესობა არ შესრუდებურა. უამრავი ფაქტი არსობს იმის შესახებ რომ მაღალი თანამდებობის პირები და საჯარო მოხედრები არღვევენ “საჯარო სამსახურისა” და “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” კანონების მოთხოვნებს ეკონომიკის, ფინანსთა, ჯანდაცვისა და განათების სამინისტროებში და მივმართეთ გენერალურ პროკურატურას ამ პირთა გამოვრენისა და საჯარო სამსახურიდან ჩამოშორების მიზნით. თამბაქოს მოხმარების ტვირთი სერიოზურად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, რადგან თამბაქოს ინდუსტრიის მიერ შემოტანილი ერთი დარი სახედმწიფოსა და ჩვენს მოქალაქეებს მისგან გამოწვეული დაავადებების სამკურნალოდ ან სიცოცხლის გასახანგრძლივებლად მინიმუმ სამჯერ მეტი უჯდება.

ყოვერივე ბემოაღნიძნურიდან გამომდინარე, ადინსი საქართველოს ხერხსუფებისაგან მოითხოვს.

ჩარჩო კონვენციით ნაკისრი ყველა ვადლებუდების დაუყოვნებლივ აღსრუდებას კონვენციის სამდივნოს შეფასების დოკუმენტის შესაბამისად;

ვინაიდან მთავრობის ჩინოვნიკები შეგნებულად აჭიანურებენ პროცესს ვთხოვთ პარლამენტს განახორციელოს კანონით მინიჭებული უფლება და საპარლამენტო ინიციატივით რიგგარეშედ განიხილოს ადიანსის მიერ კონვენციის მოთხოვნებით შექმნილი პაკეტი;

კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად შეიქმნას თამბაქოს კონტროლის სააგენტო, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება პრემიერს ან პარლამენტს;

აიკრძალოს თამბაქოს ინდუსტრიის მონაწილეობა ჯანდაცვითი გადაწყვეტილებების მომზადების, მიღებისა და განხორციელების პროცესში.